<u>სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გულნაზ ხორბალაძის ანგარიში 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ</u>

საჯარო სკოლის ამოცანაა საქმიანობა დაგეგმოს და წარმართოს ისე, რომ ხელი შეეწყოს სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებას.

2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც წლის განმავლობაში სკოლის მიერ დასახული სკოლის მიზნების მიღწევას და ამოცანების შესრულებას ემსახურებოდა. სკოლას განსაზღვრული ჰქონდა 5 მთავარი სტრატეგიული მიზანი:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული
- განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს
- უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად სკოლას განსაზღვრული ჰქონდა ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. სკოლამ თითოეული ამოცანის შესასრულებლად განახორციელა დაგეგმილი აქტივობები. კერძოდ, შეიმუშავა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო პროგრამები, საგნობრივი კურიკულუმები. ადმინისტრაციის მხრიდან გაძლიერდა მხარდაჭერა შიდა სასკოლო პროექტების დანერგვის, პრეზენტაციების, კონკურსების, ოლიმპიადების, მიზნობრივი ექსკურსიების მიმართულებით; სკოლაში მოსწავლეთა სურვილებიდან გამომდინარე, ჩატარდა სასკოლო პროექტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თემაზე ,,რა განძი გვქონია". მასში აქტიურად იყვნენ ჩართულები საგნობრივი კათედრები, მოსწავლეები ,მშობლები. განხორციელდა სამი მასშტაბური ღონისძიება : საშემოდგომო ზეიმები, რომლებიც დავუკავშირეთ საქართველოს კუთხეების საშემოდგომო ტრადიციებს; საახალწლო წარმოდგენები, რომლებიც ახალ წელთან დაკავშირებულ ტრადიციებს მიეძღვნა. მესამე ღონისძიება ეროვნული სამოსის დღეს ჩატარდა-ეს იყო უაღრესად პატრიოტული მუხტის შემცველი აქტივობა, შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი მოსწავლეები და მასწავლებლები, თუმცა რეგლამენტის დაცვა გაგვიჭირდა და საათ-ნახევრის მაგივრად ზეიმი 3 საათს გაგრძელდა. მნიშვნელოვანია, რომ ამ აქტივობებში ყველა ბავშვი თანაბრად გვყავდა ჩართული, საქართველოს კულტურული ტრადიციებისადმი დამოკიდებულებას მოსწავლეები გამოხატავდნენ ნახატებით, მცირე როლური თამაშებით, სიმღერებით. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მშობლების ჩართულობა, ისინი მონაწილეობდნენ სხვადასხვა წარმოდგენების დადგმაში, დეკორაციებისა და აქსესუარების შექმნაში.

უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. ხარისხის გასაუმჯობესებლად სასკოლო პროექტის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ერთ კარგ ტრადიციას დავუდეთ სათავე- მეოთხე წელია თსუ-ს ბაზაზე ვატარებთ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას ,,განათლება თანამედროვეობის სამსახურში", რომლის მონაწილენი არიან VIII-XII კლასების მოსწავლეთა გუნდები. მოსწავლეები

ამუშავებენ პრობლემაზე ორიენტირებულ და დღევანდელობისთვის აქტუალურ თემებს და წარმოადგენენ პრეზენტაციებს. წლევანდელი კონფერენცია ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის თემაზე სასკოლო პროექტის ფარგლებში. საგნობრივი კათედრებმა შეიმუშავეს და საჯაროდ მოსწავლეებს გააცნეს საკონფერენციო საკითხთა წრე, პრობლემაზე ორიენტირებული თემატიკა. უფროსკლასელებს მოსწავლეებს მიეცათ დავალება გუნდურად დაემუშავებინათ პროექტები კულტურული მემკვიდრეობის თემაზე . პირველ ეტაპზე კათედრებმა გამოავლინეს საუკეთესო ნაშრომები, ხოლო დასკვნითი ღონისძიება გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. გუნდური პროექტები შეეხებოდა თანამედროვე გამოწვევებს: მივიწყებული ისტორიული ძეგლების პრობლემატიკას, ქართული ღვინის, ქართული ხორბლის უნიკალურობას, ენგურჰესის, როგორც ქართული მატერიალური კულტურის ძეგლის როლს თანამედროვე საზოგადოებისათვის, მარიონეტების თეატრის მნიშვნელობას ქვეყნის კულტურულ საგანძურისათვის, სვანური ტრადიციების უდიდესი გავლენას ახალ თაობაზე და სხვა. მოსწავლეები მსჯელობდნენ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, აუდიტორიას უზიარებდნენ თვალსაჩინო მასალას ფოტოების, ცხრილების ,ამონარიდების, თავიანთი ხელით შექმნილი მაკეტების სახით, რაც განაპირობებდა კონფერენციის მონაწილეთა მაღალ ინტერესს. უნივერსიტეტის პროფესორები სასარგებლო რჩევებს აძლევდნენ კონფერენციის მონაწილეებს. დასასრულს გამარჯვებული შრომების ავტორები და პედაგოგები დაჯილდოვდნენ უნივერსიტეტისა და სკოლის სერტიფიკატებითა და სუვენირებით.

კონსტრუქციული გამოდგა ჩვენი თანამშრომლობა **სოხუმის უნივერსიტეტთან.** პროფესორებისა და სტუდენტების ერთობლივი ძალისხმევით შესრულდა პროექტი: „ქალაქ თბილისის #128 საჯარო სკოლისთვის ვებგვერდის შექმნა“. ასევე ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა, უნივერსიტეტის პროფესურის მხარდაჭერით მიიღეს მონაწილეობა ისეთ პროექტებში, როგორიცაა საერთაშორისო პროექტი „Tecnovation girls“ და პროექტი “სამედიცინო ტექნოლოგიები სკოლაში“. სამომავლოდ აქტიურად გავაგრძელებთ მსგავსი პარტნიორების ძიებას, რათა გავხსნათ ახალი კარი მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოსავლენად.

გასულ სასწავლო წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხითაც გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები აქტიურად ესწრებოდნენ მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აფასებდნენ მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილებს, გამოჰყოფდნენ პოზიტიურ მხარეებს, გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, რის საფუძველზეც ხდებოდა მასწავლებელთა ჩართვა ტრენინგ-პროგრამებში. სასიხარულოა, რომ 6 მასწავლებელი წარდგენილია სტატუსის ასამაღლებლად.

სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. სკოლა მუდმივად ცდილობს სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დაწყებითის, უცხოური ენებისა და რუსული ენის კათედრების საქმიანობა ამ მიმართულებით. ინგლისურის მასწავლებლებმა დ. ნარსიამ და ვ. კობახიძემ , რუსული ენის პედაგოგებმა ნ. ქოჩლაძემ და ნ. კობიაშვილმა ისტ-ის პედაგოგთან, ლ. ბესელიასთან თანამშრომლობით მოამზადეს ინტეგრირებული პროექტები ,,ინტელის“ პროექტის

ფარგლებში და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნეს რესურსები მოსწავლეების აქტიური ჩართულობით.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგის მიზნით კათედრებზე დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, ურთიერთდასწრება. განვლილ საანგარიშო პერიოდში სკოლამ ჩაატარა სასკოლო საზოგადოების- მოსწავლეთა , მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა. შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლამ მიიღო ობიექტური და გულახდილი უკუკავშირი, რის საფუძველზეც გამოკვეთს საჭიროებებს და დასახავს სამომავლო გეგმებს.

სკოლამ წარმატებით განახორციელა ახალი სასწავლო წლისთვის **დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება:** შემუშავდა სკოლის ახალი ფილოსოფია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის განვითარების 7-წლიანი სტრატეგია, სასკოლო კურიკულუმის ფილოსოფია და სხვა. ასევე დაიწყო ავტორიზაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება, სკოლამ პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა და სცნეს ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლად.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები,: დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სიტემა., შეიცვალა სკოლის ელექტროკარადა, განხორციელდა სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, შენობას ჩაუტარდა მიმდინარე კოსმეტიკური რემონტი, განახლდა საგანმანათლებლო რესურსები და ა.შ. თუმცა, შესასრულებელი დარჩა რიგი აქტივობები, როგორიცაა: ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების შევსება ცდების ჩატარებისათვის აუცილებელი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკის განახლება, ვიდეო-კამერებით სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის სრულად აღჭურვა, და ა.შ. აღნიშნულს, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები სჭირდება, რომელიც სამწუხაროდ, სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია.

საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები (დისციპლინის კონტროლი, მოსწავლეთა დასწრებაზე მონიტორინგი, ბულინგისა და კიბერბულინგის პრევენცია) და ასევე, გადაიდგა ნაბიჯები მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, დამრიგებლების მიერ ჩატარდა მშობელთა კრებები და წარმოებდა ინდივიდუალური შეხვედრები, მშობლები გააქტიურდნენ სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის კუთხით, კომუნიკაცია მყარდებოდა ელექტრონული ჟურნალების და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, თუმცა აღნიშნული მისამართით სკოლას კვლავ ბევრი აქვს სამუშაო, რაც მხოლოდ სკოლაზე არ არის დამოკიდებული და სირთულეებს აწყდება სხვადასხვა კუთხით, როგორიცაა მშობლების მოუცლელობა და ასე შემდეგ. საჭიროა მშობლებთან მუშაობა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით და ბევრი ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებშიც მშობლები ჩაერთვებიან შვილებთან ერთად.

მშობელთა ჩართულობა. განვლილ საანგარიშო პერიოდში დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა აქტივობებში: ზეიმებისა და ღონისძიებების მოწყობაში ექსკურსიების ორგანიზებაში, სასკოლო გამოფენების მოწყობაში, სასკოლო პროექტის ფარგლებში ჩატარებულ აქტივობებში, სხვადსხვა აქტივობებში; აქვე

ძალიან დამაფიქრებელია, საშუალო საფეხურზე ნაკლებია მშობელთა აქტიურობა და ამ მიმართულების სკოლას მართებს ეფექტური კომუნიკაციის ფორმების ძიება.

არაფორმალური განათლების მხარდაჭერა. სკოლა მაქსიმალურად ზრუნავს ხარისხის ასამაღლებლად გამოიყენოს არაფორმალური განათლების შესაძლებლობები. ამ მიზანს ემსახურება მოსწავლეთა შორის კლუბური გაერთიანებების შექმნა, ესგ-ით გაუთვალისწინებელი წრეებისა და საგანმანათლებლო მომსახურებების შეთავაზება. კლასგარეშე აქტივობებისა და სხვადასხვა სასწავლო პროექტების დანერგვა. არაფორმალური განთლებით ბავშვებს ვაძლევთ შესაძლებლობას ისწავლონ ,,სწავლის სწავლა", დამოუკიდებლად წარმართონ სწავლების პროცესი, შექმნან და დაიცვან თავიანთი ნამუშევრები. სკოლა ამ ეტაპზე გადის ავტორიზაციას და შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩვენთვის პრიორიტეტულია სოციალურად აქტიური და კრიტიკულად მოაზროვნე ბავშვების აღზრდა, სწავლის სწავლაზე ორიენტირება. სკოლის გაფართოების გათვალისწინებით ჩვენთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა არაფორმალური გაერთიანებების განვითარება, ინტერესების მიხედვით სხვადასხვა წრეებისა და კლუბების შექმნა, სსსმ და შშმ მოსწავლეების საჭიროებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილება. წრეობრივი და საკლუბო მუშაობის განვითარების კარგ შესაძლებლობასაც მოგვცემს ახალი სასწავლო კორპუსის აშენება. პედაგოგები ფიქრობენ, რომ მოსწავლეებს აღარ აკმაყოფილებთ მხოლოდ გაკვეთილი - დავალება, მსჯელობა ან მოყოლა, მათ მეტი უნდათ, რომ სკოლა მეორე ოჯახად აღიქვან; ამ მიმართულებით იგეგმება კათედრებს შორის თანამშრომლობის განვითარება, საერთო აქტივობების დანერგვა, იდეების გენერირება, სწავლა-სწავლების სიახლეებისა და რესურსების ურთიერთგაზიარება.

პრობლემები და გამოწვევები: მასწავლებლების, კათედრების, დამრიგებლების საქმიანობის რეფლექსიიდან იკვეთება გარკვეული გამოწვევები: კურიკულუმზე მუშაობის გაუმჯობესება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; კომპლექსური დავალებების ინტეგრირება; სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება და მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ დანერგვა ; მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასებისათვის განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწა; სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებთან დიფერენცირებული მუშაობის გააქტიურება; სკოლაში მასწავლებლის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება; განმავითარებელი შეფასების გააქტიურებას და მისი ეფექტურად დანერგვა გაკვეთილებზე. მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების კიდევ უფრო მეტად დაცვა, ბულინგისა და კიბერბულინგის პრევენცია; სკოლის ყველა კლასის უზრუნველყოფა პროექტორებითა და ეკრანებით; სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მშობელთა ცნობიერების ამაღლება, მათთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სიახლეების გაცნობა; მათი ჩართულობის გააქტიურება, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე სააღმზრდელო ღონისძიებებში; სკოლის მატერიალური ბაზის გაფართოება, ფართის დეფიციტის გადასაჭრელად სკოლისათვის ახალი სასწავლო კორპუსის აშენების დაჩქარების საკითხის დაყენება ზემდგომი ორგანოების წინაშე (სკოლა მუშაობს უმძიმეს პირობებში: არ აქვს სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, ბუფეტი, საკმარისი რაოდენობის სველი წერტილები, სასწავლო კაბინეტები, კლასები სტანდარტულზე

მცირე ზომისაა და გადატვირთულია) . სკოლა თავისი მიღწევებით იმსახურებს უკეთესი გარემოს სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიებების ჩასატარებლად.

2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმიდან **ვერ მოხერხდა** მასწავლებელთა კონფერენციის ჩატარება, რადგან სასწავლო წლის ბოლოს დაიწყო ავტორიზაციის პროცესი. წინამდებარე შეუსრულებელი საკითხი სკოლის მერ დაიგეგმება და განხორციელდება სამომავლოდ.

სამოქმედო გეგმის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ კარგად გაართვა თავი 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილ აქტივობების შესრულების საკითხს.